უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 8

20 16 წ. "18" 03

ქ.თბილისი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი	პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	121	მეხუთე	20

2	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120	მეოთხე	15

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 მარტის №3 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
ანანო გიორგაძე